ⴊⴍⴚⴅⴀⴢ ⴋⴂⴆⴀⴅⴐⴍⴁⴈⴑ ⴋⴌⴄⴂⴄⴂⴄⴊⴇⴀⴢ

ⴒⴐⴍⴎⴀⴐⴈ,ⴞⴋⴀⴢ ⴁ(2)

Ⴂⴆⴀⴢ ⴃⴀ ⴝⴄⴘⴋⴀⴐⴈⴒⴄⴁⴀⴢ ⴘⴄⴌ ⴞⴀⴐ, ⴕⴐⴈⴑⴒⴄ, ⴋⴍⴂⴆⴀⴓⴐⴈ ⴀⴌⴂⴄⴊⴍⴆⴈ ⴀⴜ ⴋⴍⴓⴅⴊⴈⴌⴄ ⴋⴍⴌⴀⴑⴀ *(ⴀⴌⴓ ⴋⴍⴌⴀⴇⴀ)* ⴘⴄⴌⴑⴀ *(ⴑⴀⴞⴄⴊⴈ)* ⴋⴔⴀⴐⴅⴄⴊⴀⴃ, ⴅⴈⴇⴀⴐⴚⴀ ⴍⴃⴄⴑⴖⴀⴚ ⴒⴍⴁⴈⴀⴑ ⴃⴀ ⴃⴀⴚⴓⴊⴀⴃ ⴃⴀ ⴓⴅⴌⴄⴁⴊⴀⴃ ⴗⴍⴅⴄⴊⴈⴑⴀ ⴁⴍⴐⴍⴒⴈⴑⴀⴂⴀⴌ ⴃⴀ ⴅⴀⴌⴄⴁⴈⴑⴀⴂⴀⴌ ⴃⴀⴚⴅⴀⴃ ⴃⴈⴃⴄⴁⴈⴑⴀⴇⴣⴑ ⴘⴄⴌⴈⴑⴀ, ⴋⴍⴋⴀⴊⴀⴃⴈⴑⴀⴂⴀⴌ ⴀⴘⴀⴃⴄⴁⴀⴃ ⴉⴀⴚⴇ-ⴋⴍⴗⴅⴀⴐⴄⴍ.

ⴃⴈⴃⴄⴁⴀⴢ ⴋⴀⴋⴀⴑⴀ ⴃⴀ ⴛⴄⴀⴑⴀ ⴃⴀ ⴑⴓⴊⴈⴑⴀ ⴜⴋⴈⴃⴀⴑⴀ

ⴉⴍⴌⴃⴀⴉⴈ, ⴞⴋⴀⴢ ⴁ(2)

Ⴅⴈⴇⴀⴐⴚⴀ ⴊⴓⴉⴀⴑⴀ ⴃⴀ ⴉⴊⴄⴍⴎⴀⴑ ⴇⴀⴌⴀ ⴄⴋⴋⴀⴓⴑ ⴘⴈⴌⴀ ⴋⴍⴂⴆⴀⴓⴐⴍⴁⴀⴘⴈ, ⴋⴀⴚⴞⴍⴅⴀⴐⴍ, ⴇⴀⴌⴀ-ⴋⴂⴆⴀⴅⴐ ⴄⴕⴋⴄⴌ ⴀⴜ ⴋⴍⴌⴀⴑⴀⴚⴀ *(ⴀⴌⴓ ⴋⴍⴌⴀⴇⴀⴚⴀ)* ⴀⴋⴀⴑ ⴘⴄⴌⴑⴀ *(ⴑⴀⴞⴄⴊⴈ)* ⴋⴂⴆⴀⴅⴐⴍⴁⴈⴑⴀⴑ ⴋⴌⴄⴂⴄⴂⴄⴊⴀⴑ, ⴃⴀ ⴈⴞⴑⴄⴌ ⴈⴂⴈ ⴗⴍⴅⴊⴈⴑⴀ ⴂⴀⴌⴑⴀⴚⴃⴄⴊⴈⴑⴀ ⴂⴀⴐⴄⴋⴍ-ⴃⴀⴁⴐⴉⴍⴊⴄⴁⴈⴑⴀⴂⴀⴌ, ⴐⴀⴋⴄⴇⴓ ⴗⴍⴅⴄⴊⴈⴅⴄ ⴛⴀⴊ-ⴂⴈⴚ, ⴐⴀⴢⴚⴀ ⴈⴌⴄⴁⴍ, ⴐⴀⴋⴄⴇⴓ ⴉⴀⴚⴇ-ⴋⴍⴗⴅⴀⴐⴄ ⴞⴀⴐ.

ⴊⴍⴚⴅⴀⴢ:

ⴀⴜ ⴃⴀ ⴋⴀⴐⴀⴃⴈⴑ ⴃⴀ ⴓⴉⴓⴌⴈⴇⴈ ⴓⴉⴓⴌⴈⴑⴀⴋⴃⴄ. ⴀⴋⴈⴌ.

ႭჃⴔⴀⴊⴍ ⴈⴄⴑⴓ ⴕⴐⴈⴑⴒⴄ, ⴖⴋⴄⴐⴇⴍ ⴙⴅⴄⴌⴍ, ⴐⴍⴋⴄⴊⴈ ⴝⴄⴘⴋⴀⴐⴈⴒⴈ ⴃⴀ ⴚⴞⴍⴅⴄⴊⴈ ⴂⴆⴀ ⴞⴀⴐ, ⴐⴍⴋⴄⴊⴋⴀⴌ ⴜⴋⴈⴃⴈⴑⴀ ⴈⴍⴑⴄⴁ ⴃⴀⴋⴜⴈⴌⴃⴅⴄⴊⴈⴑⴀ ⴃⴀ ⴗⴍⴅⴊⴀⴃ-ⴜⴋⴈⴃⴈⴑⴀ ⴕⴀⴊⴜⴓⴊⴈⴑⴀ ⴃⴄⴃⴈⴑⴀ ⴘⴄⴌⴈⴑⴀ ⴇⴀⴌⴀ ⴄⴂⴅⴈⴎⴒⴄⴑ ⴘⴈⴌⴀ ⴋⴂⴆⴀⴅⴐⴍⴁⴀⴢ ⴈⴌⴄⴁⴄ ⴃⴀ ⴊⴓⴉⴀⴑ ⴃⴀ ⴉⴊⴄⴍⴎⴀⴑ ⴄⴋⴋⴀⴓⴑ ⴘⴈⴌⴀ ⴇⴀⴌⴀ ⴋⴂⴆⴀⴅⴐ ⴄⴕⴋⴄⴌ, ⴀⴜⴚⴀ, ⴗⴍⴅⴊⴀⴃ-ⴜⴋⴈⴃⴀⴍ ⴋⴄⴓⴔⴄⴍ, ⴋⴃⴀⴁⴊⴀⴃ ⴂⴄⴅⴄⴃⴐⴄⴁⴈⴇ ⴘⴄⴌ: ⴋⴍⴌⴀⴇⴀⴚⴀ ⴀⴋⴀⴇ ⴘⴄⴌⴇⴀ, ⴋⴀⴃⴊⴈⴇⴀ ⴘⴄⴌⴈⴇⴀ ⴇⴀⴌⴀⴋⴂⴆⴀⴅⴐ ⴄⴕⴋⴄⴌ, ⴃⴀ ⴅⴈⴇⴀⴐⴚⴀ ⴋⴍⴌⴀⴑⴀ ⴘⴄⴌⴑⴀ ⴒⴍⴁⴈⴀⴑ, ⴄⴂⴐⴄⴇⴅⴄ ⴀⴋⴀⴇⴚⴀ ⴀⴌⴂⴄⴊⴍⴆⴈ ⴋⴔⴀⴐⴅⴄⴊⴈ ⴃⴀ ⴜⴈⴌⴀⴋⴛⴖⴍⴊⴈ ⴋⴍⴓⴅⴊⴈⴌⴄ, ⴋⴚⴅⴄⴊⴈ ⴃⴀ ⴋⴞⴑⴌⴄⴊⴈ ⴁⴍⴐⴍⴒⴇⴀ ⴃⴀ ⴓⴞⴈⴊⴀⴅⴇⴀ ⴋⴒⴄⴐⴇⴀ ⴗⴍⴅⴊⴈⴑⴀ ⴂⴀⴐⴄⴋⴍ-ⴃⴀⴁⴐⴉⴍⴊⴄⴁⴈⴑⴀⴂⴀⴌ, ⴃⴀ ⴋⴈⴀⴌⴈⴝⴄ ⴘⴄⴌⴈⴇⴀ ⴇⴀⴌⴀⴋⴂⴆⴀⴅⴐⴍⴁⴈⴑ ⴋⴄⴑⴜⴀⴐⴍⴁⴈⴇ, ⴋⴘⴅⴈⴃⴍⴁⴈⴇ ⴃⴀ ⴜⴀⴐⴋⴀⴒⴄⴁⴈⴇ ⴃⴀ ⴉⴄⴇⴈⴊⴀⴃ ⴋⴞⴈⴀⴐⴓⴊⴄⴁⴈⴇ ⴃⴀ ⴓⴘⴔⴍⴇⴅⴄⴊⴀⴃ ⴑⴀⴞⴊⴇⴀ ⴇⴣⴑⴇⴀ ⴋⴈⴀⴁⴐⴓⴌⴄ; ⴃⴀ ⴑⴀⴃⴈⴃⴄⴁⴊⴀⴃ ⴘⴄⴌⴈⴑⴀ ⴋⴈⴄⴚ ⴋⴀⴇ ⴗⴍⴅⴄⴊⴈ ⴉⴄⴇⴈⴊⴈ, ⴜⴀⴐⴋⴀⴒⴄⴁⴈⴇ ⴀⴖⴑⴐⴓⴊⴄⴁⴈⴇ ⴂⴀⴌⴆⴐⴀⴞⴓⴊⴈⴑ ⴋⴀⴇⴈⴑ ⴘⴄⴌⴃⴀ ⴑⴀⴇⴌⴍ ⴗⴍⴔⴈⴑⴀ ⴂⴀⴋⴍ. ⴐⴀⴋⴄⴇⴓ ⴘⴄⴌⴈ ⴀⴐⴑ ⴘⴄⴜⴗⴀⴊⴄⴁⴀⴢ ⴃⴀ ⴞⴑⴌⴀⴢ ⴙⴓⴄⴌⴈ ⴃⴀ ⴘⴄⴌⴃⴀ ⴃⴈⴃⴄⴁⴀⴑ ⴀⴖⴅⴀⴅⴊⴄⴌⴇ ⴋⴀⴋⴈⴇ ⴘⴄⴌⴈⴇ ⴃⴀ ⴗⴍⴅⴊⴀⴃ ⴜⴋⴈⴃⴈⴇ ⴃⴀ ⴑⴀⴞⴈⴄⴐⴈⴇ ⴃⴀ ⴚⴞⴍⴅⴄⴊⴑⴀⴋⴗⴍⴔⴄⴊⴈⴇ ⴑⴓⴊⴈⴇ ⴘⴄⴌⴈⴇⴓⴐⴇ ⴀⴜ ⴃⴀ ⴋⴀⴐⴀⴃⴈⴑ ⴃⴀ ⴓⴉⴓⴌⴈⴇⴈ ⴓⴉⴓⴌⴈⴑⴀⴋⴃⴄ. ⴀⴋⴈⴌ.

ლოცვა მგზავრობის [illegible] ყოვლად-წმიდისა ღმრთისმშობლისა მიმართ

ჵ, ყოვლად-წმიდაო დედოფალო ჩემო, ღმრთისმშობელო ქალწულო, ოდიგიტრია, მფარველო და სასოებაო სულისა ჩემისაო, გზასა ამას, წინადაგებულსა ჩემსა, აწცა მნებავს წარსვლად და ჟამსა ამას მგზავრობისა ჩემისაჲსა შევჰვედრებ შენ, ყოვლად-მოწყალესა დედასა ჩემსა, სულსა და ხორცსა ჩემსა, ყოველთა გონიერთა და ხორციელთა ძალთა ჩემთა, და სრულად მინდობილ ვარ ძლიერსა მოწყალებასა შენსა. ჵ, სახიერო თანამგზავრო და მფარველო ჩემო, გულს-მოდგინედ გევედრი შენ, რაჲთა არარაჲ მევნოს მე გზასა ამას, არამედ წინამძღუარ მექმენ მე მას ზედა და წარმიმართე იგი ყოვლად-წმიდაო, ოდიგიტრია, ვითარცა [illegible] [illegible] სადიდებელად ძისა შენისა, უფლისა ჩემისა იესუ ქრისტესი. შემწე მექმენ მე ყოველსა ზედა, უმეტესად ჟამსა ამას შორისა და სამძიმოსა მგზავრობისასა, დამიფარე მე ძალმოსილითა საფარველითა შენითა ყოველთაჲგან ჩემ ზედა მომავალისა ჭირთა და მეკობრეთაჲგან, ხილულთა და უხილავთა მტერთაჲგან, და ევედრე ჩემთჳს, ჵ, დედოფალო ჩემო, ძესა შენსა ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა, რაჲთა მომავლინოს მე შეწევნად ანგელოზი თჳსი მშჳდობისაჲ, მეგზური წინამძღუარი და მცველი, ვითარცა ძუელად მოუვლოს მონასა თჳსსა ტობიას რაფაელი, ყოვლისა ადგილსა და ყოვლისა ჟამსა მგზავრობისა მისისა მცველი მისი ყოვლისა ბოროტისაგან; რაჲთა ეგრეთვე მგზავრობისა ჩემისა მშჳდობით წარმმართველმან, და ზეციერითა ძალითა [illegible] [illegible] დამფარველმან, ღირს მყოს [illegible], მშჳდობით და სიმრთელით სახლსა შინა თჳსსა დაბრუნებად, სადიდებლად წმიდისა სახელისა მისისა, რაჲთა ვადიდებდე და ვაკურთხევდე მას ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩემისასა და შენცა აღვამაღლებდე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.